



**გაზომე სტანდარტული და არასტანდარტული ერთეულებით**

მათემატიკა	ბუნებისმეტყველება	ტექნოლოგები	ინჟინერია	ხელოვნება	სპორტი	ლიტერატურა
X	X	X		X		X

<p><b>მიმართულება:</b> გეომეტრია</p> <p><b>სასწავლო თემა:</b> ზომა, გაზომვა ზომის ერთეულები</p>	<p><b>სამიზნე ცნება:</b> ზომა და გაზომვის საშუალებები</p>	<p><b>მაკრო ცნება:</b></p>	<p><b>კლასი:</b> II</p> <p><b>დრო:</b> 2 კვირა</p>
<p><b>საკითხები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ფიგურათა ზომების შედარება დატოლება, გრძელი- მოკლე, დაბალი მაღალი</li> <li>✓ სიგრძის საზომი არასტანდარტული ერთეულები ნაბიჯი, მტკაველი</li> <li>✓ სიგრძის საზომი სტანდარტული ერთეულები სანტიმეტრი, მეტრი</li> </ul>		<p><b>საკვანძო კითხვა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა განსხვავებაა სტანდარტული და არასტანდარტული ერთეულებით გაზომვებს შორის?</li> </ul>	
<p><b>პრობლემა:</b> როგორ გავზომოთ ჩვენს გარშემო არსებული ობიექტები სტანდარტული და არასტანდარტული ერთეულებით</p>			
<p><b>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</b> მათ.დაწყ.(I).6 მათ, დაწყ (I) 13</p> <p><b>21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი</b> პრობლემის გადაჭრა; კრიტიკული აზროვნება</p>			
<p><b>დავალების პირობა:</b></p>	<p><b>გაზომე სტანდარტული და არასტანდარტული ზომის ერთეულებით</b> მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა შეედარებინათ და გაეზომათ სხვადასხვა ნივთები სხვადასხვა ხერხით და წარმოედგინათ. აღმოჩნდა, რომ მაკამ და ნიკამ მკლავით გაზომეს კარადა, მათემ ტერფით გაზომა საწოლი, ნინომ გასაღებით გაზომა წიგნების თარო,</p>		



გიორგიმ მტკაველით გაზომა მამა და და, ანიმ სამაგრით გაზომა ფარდაგი



**შენი დავალებაა:**

აარჩიე შენთვის სასურველი 5 სასწავლო ნივთი მაგალითად: ფანქარი, კალამი, წიგნი, რვეული, მოსწავლის მაგიდა, დაფა და ობიექტი (მაგალითად: ოთახის იატაკი, ან სხვა)

- შეეცადე გაზომო მათი სიგრძე, გაზომვისას გამოიყენე არასტანდარტული (ნაბიჯი, მტკაველი, ციდა და სხვა) და სტანდარტული(სანტიმეტრი) საზომი ერთეულები
- მონაცემები განათავსე ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნიმუშის მიხედვით და წარუდგინე თანაკლასელებს.

	ნივთის დასახელება	არასტანდარტული საზომი ერთეული	სტანდარტული საზომი ერთეული
1.	წიგნის თარო	10 გასაღები	90 სმ
2.			
3.			
4.			
5.			

დავალების შესრულება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი რომ გახდეს, ჩართე შენი მეგობრები. აირჩიეთ თუნდაც ერთი საერთო ნივთი



	<p>და შეადარე შენი მეგობრის მიერ გაზომვის შედეგად მიღებული შედეგები შენსას, როგორც სტანდარტული ისე არასტანდარტული ერთეულით გაზომვისას და გააკეთე დასკვნა.</p> <p><b>პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოადგინე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა საშუალება გამოიყენე გაზომვის ჩასატარებლად?</li> <li>• როგორ აწარმოვე ჩანაწერის გაკეთება?</li> <li>• როგორ დაადგინე რომელია გრძელი, რომელი მოკლე, რომელი დაბალი, რომელი მაღალი?</li> <li>• გაზომვის შედეგების ცხრილში განთავსება მოხერხებული იყო? რატომ?</li> <li>• როდის არის მოხერხებული სტანდარტული და რა შემთხვევაში არასტანდარტული საზომი ერთეულების გამოყენება?</li> <li>• რა განსხვავებაა სტანდარტული და არასტანდარტული საზომი ერთეულებით გაზომვებს შორის?</li> <li>• ზუსტი და არაზუსტი რომელია? გაზომვის შედეგები როდის არის სანდო?</li> <li>• მიღებული გამოცდილება სად შეიძლება გამოიყენო და როგორ?</li> <li>• როდის შეიძლება იყოს გაზომვის შედეგები ზუსტი და სანდო?</li> </ul>
<p>რეკომენდაციები მოსწავლეს</p>	<p>ცოდნის განმტკიცებისთვის გამოიყენე <a href="#">ქვიზი</a> სამუშაო მასალა ჰიპერლინკებით არის მოცემული. თუ გიყვართ მათემატიკა, შეგიძლიათ გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ ვიდეოს: სახალისო ამოცანები <a href="https://1tv.ge/video/matematika-28-dekemberi-teleskola/">https://1tv.ge/video/matematika-28-dekemberi-teleskola/</a></p>



<p>მეთოდები/ სტრატეგიები ცოდნის შესაფასებლად</p>	<p>პროცესში შეფასება შეიძლება მოხდეს SOLO ტაქსონომიის მიხედვით, რაც გულისხმობს Structure of learning outcomes ; ასევე მასწავლებელს შეუძლია შეიმუშავოს შეფასების რუბრიკა;</p> <p>შეფასების სახეები/ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი</p> <p>შეფასების ინსტრუმენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქვიზი</li> <li>• სადიაგნოსტიკო ტესტი</li> <li>• დიაგრამით, ცხრილით ნასწავლის დემონსტრირება</li> <li>• რამდენიმე სიტყვით შეაჯამე რა იყო ძირითადი იდეა</li> <li>• 1 წუთიანი შეჯამება - სიტყვიერი ან წერილობითი</li> <li>• დისკუსია, განხილვა წყვილებში</li> <li>• მოსწავლის თვითშეფასება</li> <li>• მოსწავლეების მიერ ერთმანეთის შეფასება</li> <li>• სასწავლო თემის შემაჯამებელი ტესტი</li> <li>• ...</li> </ul>
<p>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</p>	<p>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</p> <p><b>მათ.დაწყ.(I).6</b> საგანთა და ფიგურათა ზომებისა და ობიექტთა შორის მანძილების პოვნა.</p> <p><b>მათ.დაწყ.(I).13</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.</p> <p><b>21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი</b> პრობლემის გადაჭრა; კრიტიკული აზროვნება</p>
<p>შეფასება</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ურთიერთშეთავსებით ფიგურათა წრფივი ზომების შედარება და გამოხატოს შედარების შედეგი შესაბამისი ტერმინებით (მაგალითად, გრძელი, მოკლე, ტოლი);</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"><li>• ტოლი ფიგურების ნიმუშების აღმოჩენა მისთვის ჩვეულ გარემოში; მოახდინოს ფიგურათა ტოლობის დემონსტრირება მათი ურთიერთშეთავსებით;</li><li>• იპოვოს რეალური ობიექტის (მაგალითად, საკლასო ოთახის, სპორტული დარბაზის) წრფივი ზომა არასტანდარტული ზომის ერთეულის (მაგალითად, ნაბიჯის) გამოყენებით.</li><li>• გამოიყენოს სიგრძის საზომი სტანდარტული ერთეული სმ, მ და გაზომოს მონაკვეთი.</li></ul>
--	---